ხელშეკრულება №
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 4 თებერვალი, 2013 წელი

ერთის მხრივ, სსიპ„სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახ.მუსიკალური სასწავლებელი“ (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის დავით ოკუჯავას სახით და მეორეს მხრივ **შპს „პრიმა აუდიტი“, დირექტორის ლაშა მანიას** (შემდგომში – მიმწოდებელი/შემსრულებელი), სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ხელშეკრულების საგანია დიმიტრი არაყიშვილის სახ.მუსიკალური სასწავლებლის 2012 წლის ბალანსის აუდიტორული შემოწმების მომსახურება, შესაბამისი აუდიტორული დასკვნისა და რეკომენდაციების მიღება, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტია სსიპ **დიმიტრი არაყიშვილის სახ.მუსიკალური სასწავლებლის** 2012 წლის ბალანსის აუდიტორული შემოწმების მომსახურება მოქმედ კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. მომსახურების ღირებულება შეადგენს **500 (ხუთასი)**ლარს, თანმდევი ხარჯების (დღგ-ს) ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი/შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის მომსახურების ხარისხი უპასუხებს მოცემულ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2013 წლის 1 მარტის ჩათვლით.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, გ.ჩიტაიას 21
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, რომლის საფუძველია აუდიტორის მიერ გამოცემული აუდიტორული დასკვნა და აუდიტორის სარეკომენდაციო წერილი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან/შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.3. შემსყიდველი თანახმაა, აუდიტორული შემოწმების მიზნით გადაურიცხოს შემსრულებელს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება წარმოდგენის შემთხვევაში (ანგარიშსწორება მოხდება საავანსო საბანკო გარანტიისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში).

7.5. საბოლოო ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

- უზრუნველყოს აუდიტორისათვის აუდიტის განსახორციელებლად საჭირო სრულყოფილი დოკუმენტაციისა და მონაცემების დროული გადაცემა, რომელიც შეეხება აუდიტის საგანს, მისცეს აუდიტორს აუდიტის საგანზე ნებისმიერი საჭირო განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით, შეუქმნას აუდიტორს მისი საქმიანობისათვის სათანადო პირობები.

8.3. შემსრულებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. შემსრულებელი ვალდებულია:

- კვალიფიციურად მოაწყოს აუდიტორული მომსახურება.

- აცნობოს შემსყიდველს და დამფუძნებელს აუდიტის ჩატარებისას ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში გამოვლენილი ნაკლოვანებები.

-წარუდგინოს შემსყიდველს აუდიტის საგანთან დაკავშირებული სამუშაო დოკუმენტები, შესაბამისი დასკვნა და შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 5.1. მუხლის შესაბამისად და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები,

ეს ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსრულებელი:	**შემსყიდველი:**
შპს"პრიმა აუდიტი",	სსიპ ქ.სოხუმის დ.არაყიშვილის
ქ.თბილისი , ჯავახეთის ქ.კორპ.3,	სახ.მუსიკალური სასწავლებელი
საიდენტიფიკაციო კოდი:206309582	ქ.თბილისი, ჩიტაიას ქ.21
სს„თიბისიბანკის"მარჯანიშვილის ფილიალი,	„პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE 22	ბანკის კოდი CAVOGE22
GE97TB7030936080100004	GE46TP0034080020000622
Tel.2-368333	
დირექტორი ლ. მანია	დირექტორი დავით ოკუჯავა